

დებატების შედეგების მოკლე მიმოხილვა

სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროვნიული პროგრამის მომზადებაში

1. შესავალი

2002 წლის იანვარ - მაისში სამთავრობო კომისიის სამდივნოს თაოსნობითა და CTC-სა და ბიზნეს გარემოს განვითარების ალიანსის (ABED) ტექნიკური დახმარებით სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო ქვეკომისიების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით გაიმართა დებატების სერია სადისკუსიო მასალის (ოქტომბერი, 2001) გარშემო.

აღნიშნული დებატები წარიმართა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნულ პროგრამაში სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის კონცეფტუალური ჩარჩოსა და გეგმის ფარგლებში.

დებატების მიზანი იყო საშუალება მისცემოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს ერთობლივად:

- გააეზრებინათ სადისკუსიო მასალაში ასახული პრობლემები, ამოცანები, პრიორიტეტები, მიდგომები და ღონისძიებები,
- მოეხდინათ მათი სტრუქტურირება მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით,
- ერთიანი პროგრამის გააზრების კუთხით განეხილათ ლოგიკური შეუსაბამოებები
- ჩამოეყალიბებინათ სექტორული და გამჭოლი თემების კონცეპტუალური ურთიერთკავშირები
- განესაზღვრათ საკვანძო საკითხები სამთავრობო ქვეკომისიებისთვის წარსადგენად და განსახილველად.

დებატების მომზადებისა და წარმართვის მიდგომა ზოგადად შემდეგში მდგომარეობდა:

ექსპერტთა¹ ჯგუფი (CTC) ამუშავებდა სადისკუსიო მასალის თითოეულ თავსა და ქვეთავს და ტექსტში განცხადებული ღონისძიებების, ამოცანებისა და პრობლემებს შორის ლოგიკური კავშირების აღდგენით ცდილობდა სქემატურად აესახა [სადისკუსიო მასალების] ავტორების ლოგიკა და ხედვა „პრობლემების

ნის“ სახით. თითოეული თავის დამუშავების შემდეგ გამზადებული „პრობლემების ხე“ ეგზავნებოდა მომავალი დებატეს მონაწილეებს. დებატების დროს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო ქვე-კომისიის წარმომადგენლები ცდილობდნენ სადისკუსიო მასალის ტექსტიდან ამოკრეფილი (განცხადებული თუ ნაგულისხმები) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებით პრობლემათა იერარქიის (ანუ „პრობლემათა ხის“) შექმნას. მუშაობის პროცესში იკვეთებოდა პრობლემათა უბნები, რომელთა:

- ლოგიკური (მიზეზ-შედეგობრივი) დაკავშირება ვერ ხერხდებოდა სიღარიბის დაძლევის ანდა ეკონომიკური ზრდის გამომწვევ მიზეზებთან², ანდა პირიქით,
- „პრობლემათა ხეში“ ჩასმას ითხოვდა ელემენტარული ლოგიკა, მაგრამ არასკმარისად იყო ასახული სადისკუსიო მასალაში და შემდგომში საჭიროებდა დამატებით ფორმულირებას სათანადო სამთავრობო ქვეკომისიების მიერ

დებატების მსვლელობაში გაიმართა დამატებითი სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიეძღვნა პრინციპული მნიშვნელობის თეორიულ საკითხებში უფრო ღრმად გარკვევასა და კონსენსუსის ძიებას (ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობის დროს), როგორცაა სოციალური პოლიტიკის დიქტომიები (მაგ. სელექტივიზმი და უნივერსალიზმი), გენდერული საკითხები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისათვის და ა.შ.

2. დებატების შედეგები

დებატების შედეგად შეიქმნა ორი „პროდუქტი“

შუალედური – სადისკუსიო მასალების პირველადი დამუშავებით „რესტავრირებული“ პრობლემათა იერარქია („პრობლემათა ხეები“)

საბოლოო – სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობით შუალედური „პროდუქტის“ გადამუშავებით გზით შემუშავებული სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების (მათ შორის პრობლემების) მიზეზ-შედეგობრივი ურთიერკავშირები.

წინამდებარე მიმოხილვას, შესაბამისად, ეროვნის ორი სქემების ორი პაკეტი:

¹ იგულისხმება ექსპერტები პროექტის ციკლის მართვასა და ლოგიკური მატრიცების შექმნაში და არა ექსპერტები სექტორების ან დარგების მიხედვით (მაგ. ეკონომიკის, სოციალური სფეროს ექსპერტები)

² ასეთ პრობლემებს კონცეფციაში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად ეწოდა „ობოლი“ პრობლემები

1. პირველი პაკეტში შესულია შუალედური შედეგები (ანუ რა იყო თავდაპირველად, თითოეული დებატეს წინ)
2. მეორე პაკეტში გაერთიანებული საბოლოო შედეგები (ანუ რა მივიღეთ თითოეული დებატის შემდეგ, თავდაპირველი „პრობლემათა ხეების“ ტრანსფორმაციის გზით)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული დებატის შემდეგ ხდებოდა შედეგების ტექნიკური დამუშავება, ხოლო დებატების ციკლის დასასრულს მონაწილეთა გადაწყვეტილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გადაამუშავა და რეპრეზენტატული სახე მისცა დებატების შედეგებს.

ვინაიდან შუალედური შედეგები – პირველადი „პრობლემათა ხეები“ თანმიმდევრულად მიყვება სადისკუსიო მასალების სტრუქტურას და „პრობლემათა ხეში“ ასახული თითოეულ პრობლემას თან ერთვის მინიშნება პირველწყაროსთან (სადისკუსიო მასალის პარაგრაფის ნომერი), პირველ პაკეტს არ ახლავს ტექსტური განმარტება და არ არის შესული საპრეზენტაციო მასალაში.

რაც შეეხება მეორე პაკეტს, ჩაფიქრებულია მისი დეტალური პრეზენტაცია სიტყვიერი ახსნა-განმარტებებით. საერთო განხილვის შემდეგ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული მასალა მიიღებს საბოლოო სახეს და თან დაერთვება წერილობითი კომენტარები.

3. უმედეგი ეტაპები

შემაჯამებელი დებატების შედეგად ჩამოყალიბებული საბოლოო პაკეტი (თავდაპირველი „პრობლემათა ხეები“, გადაამუშავებული ფაქტორების და პრობლემების მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის სქემები და წერილობითი კომენტარები) სამდივნოს საშუალებით გადაეცემა სამთავრობო ქვე-კომისიებს.

გათვალისწინებულია სამთავრობო ქვე-კომისიების სამუშაო ჯგუფებთან შეხვედრები დებატების შედეგების განსახილველად. იმავდროულად, სამთავრობო ქვეკომისიებს საშუალება ექნებათ განიხილონ სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის განმავლობაში სამდივნოსთვის მიწოდებული სხვა შენიშვნები და წინადადებები. საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებას მიეძღვნება სამთავრობო ქვე-კომისიების სპეციალური სხდომები.

სამთავრობო ქვე-კომისიებზე განხილვის შემდეგ მასალები გადაეცემა სამდივნოსთან შექმნილ სარედაქციო ჯგუფს.

სარედაქციო ჯგუფის დანიშნულებაა აღნიშნული მასალების საფუძველზე შექმნას საბოლოო დოკუმენტი.

სარედაქციო ჯგუფის უშუალო ამოცანაა ქვეკომისიების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, რომელიც მოიცავს საბოლოო დოკუმენტის კონცეპტუალურ ჩარჩოსა და სექტორულ პრიორიტეტებს, ჩამოაყალიბოს პრობლემების, მიზნებისა და ამოცანების, სტრატეგიებისა და ღონისძიებების საბოლოო რედაქცია.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამდივნო ატარებს ტექნიკური სემინარების ციკლს დონორთა მხარდაჭერით. ტექნიკურ სემინარებში მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები როგორც სამთავრობო, ისე საპარლამენტო და არასამთავრობო სექტორიდან.

სარედაქციო ჯგუფი განსაზღვრავს ტექნიკური სემინარების თემატიკასა და კონკრეტულ ამოცანებს, ამზადებს სემინარის მასალებს, სემინარის მონაწილეთა სამუშაო აღწერილობებს, წარმართავს პროფესიონალ ფასილიტატორებთან ერთად სემინარების მუშაობას, აჯამებს სემინარის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ ასახვას პროგრამის საბოლოო რედაქციაში.

სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა სადმივნოს მიერ წარედგინება სამთავრობო კომისიას დასამტკიცებლად.